აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

21. 10. 2005 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე

"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონოპმიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგი 2005 წლის პირველი ოქტომბრიდან, თანდართული ნიმუშის მიხედვით.

მუხლი 2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2005 წლის 6 ოქტომბრის "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" №1 დადგენილება.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე /ირაკლი ფაღავა/

კომისიის მდივანი /არჩილ მიქელაძე/